

ლუციფერის შეკითხვები და იობის მოლოდინი (პოლემიკური ესსე)

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში, ყოველი ჩვენგანი, თვითონ, ინდივიდუალურად პასუხობს შეკითხვას საკუთარი არსებობის აზრის შესახებ, ცალკეული ადამიანის მსოფლმხედველობის მიხედვით შეგვიძლია მოვახდინოთ გარკვეული სისტემატიზაცია. ადამიანი, რომელიც ათეისტურ პოზიციაზე დგას, საკუთარი ცხოვრების აზრს, თუკი იგი საერთოდ მიიჩნევს, რომ მის ცხოვრებას რაიმე აზრი შეიძლება ჰქონდეს, უმთავრესად ცხოვრებისეულ, ყოველდღიურ საგნებსა და მოვლენებში ხედავს. ეს საგნები და მოვლენები შესაძლოა თვით არ იყვნენ ამ ადამიანის ცხოვრების ნაწილი, მაგრამ მაინც უშუალო კავშირში არიან მასთან. ხშირად იტყვიან: «ჩემი ცხოვრების აზრი სამშობლოს სამსახური, შვილების აღზრდა, შთამომავლობისათვის კარგი სახელის დატოვება, შენება, სიკეთის ქმნა, ან თუნდაც დიდი ქონების დაგროვება» არისო. ამგვარი «მიწიერი» მიზნები აზრს აძლევენ ადამიანის ცხოვრებას, სამყაროში მის არსებობას და ამით თვით ადამიანს კი სტიმულს, რომ იღვაწოს, იშრომოს, ჰქმნას. ძნელია მათი ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენება. მეტიც, თუკი საკითხს ეთიკური თვალსაზრისით მივუდგებით, მიზნების ამგვარი დასახვა, ის მაშველი რგოლია, რომელიც ცხოვრების ქაოტურ ოკეანეში სულიერ გადარჩენას ემსახურება და შველის ადამიანს ნამდვილი თუ წარმოსახვითი ხმელეთის მიღწევაში. რასაკვირველია, ყოველი ათეისტი ვერ პოულობს თავის მაშველ რგოლს და ხშირად ამ ოკეანეში მოთარეშე მტაცებლების: სკეპტიციზმის, პესიმიზმისა და უაზრობის კერძი ხდება. ასეთები ხშირად ცხოვრობენ მხოლოდ დღევანდელით და ცხოვრების დინებას მიყოლილი, წინააღმდეგობის სურვილს კარგავენ. მათი დევიზი ბიბლიური, თუმცაღა ჩემის აზრით არაქრისტიანული «ამაოებათა ამაოება»¹¹ ხდება.

ის ადამიანები, რომელთაც მიწიერის გარდა, სხვა რამისაც სწამთ, ღმერთი იქნება ეს რალაცა, განგება, ბუნება, სამართლიანობა, თუ იღბალი, საკითხსაც აქედან გამოდინარე წყვეტენ. იმისდა მიხედვით, თუ რომელი რწმენა წარმოადგენს მსოფლმხედველობის საფუძველს, ადამიანები სხვადასხვაგვარად პასუხობენ შეკითხვას საკუთარი ცხოვრების აზრის შესახებ. პირველ რიგში, ყოველ ამგვარ პასუხს ერთი რამ აქვს საერთო: მათში არსებობა და მიწიერი ცხოვრება ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა. არსებობა მეტია, ვიდრე ცხოვრება. არსებობა ცხოვრების მიღმაც გრძელდება. ადამიანი, ან მისი ერთი, უმთავრესი ნაწილი, ცხოვრების დასრულებით არ ქრება და სხვაგან განაგრძობს არსებობას.

აბრამისტულ რელიგიებში (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი), სადაც ყოვლის განმგებად ღმერთი გვევლინება, ადამიანის მიწიერი არსებობის აზრი მხოლოდ ამ ღმერთთან კავშირში განიხილება. აქ უმთავრესი ცნება «ხსნა» არის და მიწიერი ცხოვრება მხოლოდ «მოსამზადებელი» პერიოდია, მსგავსი საგამოცდო სემესტრისა, როდესაც სესიისათვის უნდა მოემზადო, კარგად იმეცადინო და ღვთის წინაშე გამოცდა ჩააბარო, რათა საბოლოოდ არ დაიღუპო. ეს რელიგიები ადამიანს რულუნების, სიბეჭითის, სიკეთისაკენ მოუწოდებს და ამის საფუძველზე ხსნას პირდება. რასაკვირველია ნიუანსები აქაც არის, თუკი თუნდაც მარტინ ლუთერისეულ თეზისს ვავიხსენებთ, რომელიც პროტესტანტიზმის ერთ-ერთ უმთავრეს იდეურ ბურჯს წარმოადგენს: ხსნისა თუ არ-ხსნის საკითხს მხოლოდ ღმერთი წყვეტს, მიუხედავად იმისა, თუ რას მოიმოქმედებს ცაკეული ადამიანი. არავის არ გააჩნია ხსნის გარანტია და ეს საკითხი მხოლოდ ღვთის წინაშე წარდგენისას წყდება, მხოლოდ რწმენამ შეიძლება გვიხსნას (ე.წ. sola fide). ბევრი სხვა აბრამისტული მიმდინარეობა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში აყენებს ხსნასა და მიწიერ მოღვაწეობას და მიიჩნევს, რომ მით უფრო ახლოა ხსნა, რაც უფრო მართებულად ცხოვრობს ადამიანი დღემიწაზე.

აბრამისტული რელიგიების მიმდევარი ყოველთვის ელოდება ხსნას, გადარჩენას, რალაც მეტს, ვიდრე მას მიწიერი ცხოვრება აძლევს. სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობაში

ხსნასაც სხვადასხვაგვარი ხასიათი აქვს. მუსლიმისათვის ხსნა მუსლიმური სამოთხე აღ აკვირია, სადაც შავთვალა ჰურიების გარემოცვაში კაცი განცხრომას ეძლევა.^[2] თუკი ამ მიდგომით ვიმსჯელებთ, სწორედ ამგვარ საზოგადოებაში უნდა მოხვედრილიყო ის ათასობით «ადამიანი-ბომბი» და სჯულისათვის თავგანწირული მებრძოლი, რომელიც ჯიჰადში დაეცა. ამ მებრძოლთ საკუთარ ცხოვრებას აზრი ალაჰისათვის სამსახურით მიანიჭეს და ამიტომაც დაჯილდოვდნენ. იმას, თუ რამდენად ფასეულია ეს ჯილდო, ქვემოთ კიდევ შევხვებით. ისრაელიტისათვის წესიერ ადამიანს ნისლიანი შეოლი – ზეცა ელის, ხოლო საბოლოო ჯამში კი მკვდრებით აღდგომა და განცხრომა. ღმერთი ღირსეულთ იხსნის.^[3]

ქრისტიანის ჯილდოც ხსნაა. მოციქული იოანე ქრისტეს გვერდით უსასრულო ცხოვრებას უქადის მორწმუნეთ, პავლე მოციქული კი სრულყოფილებას, - ტელეიონს.^[4] მიუხედავად იმისა, რომ კანონიკურ ტექსტებში არსად გვხვდება იმპევენიური სასუფეველის დეტალური აღწერა, ქრისტიანს საკუთარი რწმენა კარნახობს, რომ ღვთის საუფლო სასიამოვნო და სასურველია. ქრისტიანული რელიგია პირდაპირ მოუწოდებს მორწმუნეს, მზად იყოს მიწიერი ცხოვრების სიძნელეთა ასატანად, რათა პირნათელი შეეგებოს ღვთიურ განასჯელს და თავისი შესაფერი ჯილდო მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არაფერი ვიცით დეტალურად იმის შესახებ, თუ რა ჯილდო ერგოთ იობს და უამრავ სხვა მორწმუნეთ, რომელთაც ამ ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა-წამება გადაიტანეს, ჩვენ მაინც გვწამს, რომ ღმერთი საბოლოოდ სამართლიანად განსჯის და ყველას დამსახურების მიხედვით მიუზღავს. ღვთის ამგვარი ჯილდოს მოლოდინი აძლევს აბრამისტული რელიგიის მიმდევარს მიწიერი ცხოვრების აზრს და მიზანსაც უსახავს.

როგორც წესი, რელიგიური მსოფლმხედველობა ამის იქეთ აღარ მიდის. ულტიმატური დაპირება ღვთის ჯილდოა. რა არის ეს ჯილდო და ღირს თუ არა მისი გულისათვის ცხოვრების სიხვეთა გადატანა, არ განიხილება თეოლოგთა რაკურსში. აქ, დაახლოებით, ამგვარი მსჯელობა გვხვდება: თუკი ღვთისა გწამს, მისი წესით იცხოვრე, ათი ცნება იქნება ეს თუ შარიათი. როდესაც ღმერთი განგსჯის, იგი დამსახურების მიხედვით მოგიზღავს, არ დაგლუპავს, გიხსნის. იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს «დალუპვა» ან «ხსნა», ზუსტად არაფერი ვიცით. ღმერთს, მის სამართლიან გადაწყვეტილებას ვენდობით. ამ სამართლიანობაში ეჭვი მხოლოდ ლუციფერს შეაქვს.

ლუციფერი, უწინ, შუქის მომტანი, სინათლის მომნიჭებელი ანგელოსი იყო. შემდგომში იგი გაყოყოჩდა, ღმერთს აუჯანყდა და ამისათვის ქვესკნელში მოხვდა. მას სატანასთანაც, ეშმაკთანაც, მაცდურთანაც აიგივებენ. ლუციფერის ხატს ხშირად პრომეთესაც ადარებენ: ისიც, ლუციფერივით, ადამიანისათვის სანათლის (ცეცხლის) მომტანი იყო, ღმერთებს ეურჩა და ამისათვის დაისაჯა. ლუციფერმა იცოდა, კი არ სწამდა, არამედ დანამდვილებით იცოდა, რომ ღმერთი არსებობს, რომ იგი ყოვლადღიერია, მაგრამ მაინც გაუძალიანდა ღვთის ნებას.

შუქი, სინათლე, ცეცხლი ცოდნის არქეტიპული ხატებია. ცოდნა რწმენისაგან დიდად განსხვავდება: ერთია რაიმე იცოდე და მეორეა, - რაიმესი გწამდეს. რწმენას დასაბუთება არ ჭირდება: ან გწამს, ან არა. რწმენა გულიდან მოდის, ცოდნა გონებიდან. ცოდნა ყოველთვის დასაბუთებას ეფუძნება, იგი დაეჭვებაა. ცოდნა თომასია, რწმენა კი პეტრესი. სწორედ ამ დაეჭვებამ გააჩინა ლუციფერი. მან იცოდა, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ არ იწამა მისი. არ იწამა, რომ ღმერთი ყოველთვის სამართლიან და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს. გავიხსენოთ ისიც, რომ ევას მიერ ადამისათვის შეტყუებული ვაშლიც სატანის ძღვენია და კაცს თვალს უხეღს, იმას ანახებს, ასწავლის, რაც ღვთით აკრძალულია და ამით ადამიანის დაცემას განაპირობებს. ქრისტიანული ეთიკა დაცემის ამ აქტს ეფუძნება: თავდაპირველი ცოდვა კაცობრიობას თან მოჰყვება, ადამიანი დაცემული, გამოძევებული არსებაა და მისი მიზანი კვლავ ამაღლება, სამოთხეში უკან დაბრუნება უნდა

იყოს. თავისი ლუციფერული ყოყლოჩინობით ადამიანმა საკუთარი თავი დაისაჯა და დღესაც იმკის დათესილს ტანჯვით და შრომით, ან ილაოს ტკივილით.^[1] მართალია, ქრისტემ, რომელიც ადამიან იეშუად მოვევლინა კაცობრიობას, საკუთარ თავზე აიღო ადამიანური ცოდვის ტვირთი, მაგრამ ეს მაინც არ აღმოჩნდა საყოველთაო ხსნისა და გადარჩენისათვის საკმარისი. ადამიანი მაინც არ მისდევს ღვთის ცნებას «არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები»^[2] არამედ ეჭვდება, ცდილობს იცოდეს, გაერკვეს, დაასაბუთოს. იგი ცოდნას ეძიებს. იგი ცოდნას ეძიებს არა მხოლოდ მიწიერ სამყაროში, არამედ ცდილობს ისიც შეიტყოს, თუ რა მოელის მას ზილდოდ, რას მისცემს მას ღმერთი ცხოვრებისეული სატანჯველის სანაცვლოდ. თუკი ისევ იობის ისტორიას დავუბრუნდებით, ღმერთმა მას ცხოვრებაშივე აუნაზღაურა დანაკარგი, რადგანაც მას რწმენა არ შერყევია და არ დაუწყია თავისი მეგობრებით გარკვევა, თუ როგორია და რამდენად ძლიერია ღმერთი. მას ღმერთთან დანიძლავებულმა სატანამაც ვერაფერი დააკლო, ვერ აცდუნა ჰიობი. ჰიობს არც აღძვრია ლუციფერული აზრები: მას სწამდა ღვთისა და ბოლომდე მისდია თავის რწმენას.^[3]

ეს ლუციფერული შეკითხვა მარტივია და ამავე დროს მნიშვნელოვანი: ღირს თუ არა ის, რასაც ღმერთი იმქვეყნად მიწილადებს, იმად, რასაც მიწიერ ცხოვრებაში განვიცდი და გადავიტან? ამ შეკითხვის დიდი საფრთხე სავესებით ნათელი ხდება, თუკი მასზე უარყოფითი პასუხის შესაძლებლობას დავუშვებთ. თუკი ის, რაც იმქვეყნად მელის, არ ღირს ამ ცხოვრების ტანჯვა-წამებად, რა აზრი აქვს მაშინ ჩემს არსებობას? ამიტომაც ერიდებიან აბრამისტულ რელიგიათა იდეური მამები იმქვეყნიურ საკითხების დეტალებში ჩაძიებას. ვაი თუ არ აღმოჩნდეს იმქვეყნიური არსებობა ისეთი მიმზიდველი, როგორაც იგი დაპირებაში ისახება? რა უნდა ჰქნას მაშინ ადამიანმა? რისი იმედი უნდა ჰქონდეს მას? საიდან უნდა ისაზრდოს პასუხმა არსებობის აზრის შესახებ? ლუციფერი ლუციფერი არ იქნებოდა, ყველა ეს შეკითხვა ადვილი საპასუხო რომ იყოს. იგი ძლიერია და ძნელი დასამარცხებელი.

ლუციფერი არ გულისხმობს, რომ ის, რასაც ღმერთი ადამიანს სთავაზობს, მართლაც მნიშვნელოვანი და საჭიროა. მას ეჭვი შეაქვს არსებობის საზრისიანობაში და პესიმიზმისაკენ უბიძგებს ადამიანს. მის მსჯელობას დაახლოებით ასეთი სახე შეიძლება ჰქონდეს: ადამიანი ცხოვრობს, ცოდვილობს, წვალობს და გარდაცვალების შემდეგ ღვთის წინაშე წარდგება. უკეთეს შემთხვევაში, თუკი მას წმინდანებში არ ჩარიცხავენ, მას საუკუნო განცხრომა და ცხონება მოელის სამოთხეში. ღირს კი ეს სამოთხე მიწიერ ცხოვრებად? რა მოელის მასში ადამიანს, ან თუნდაც მის სულს (ავღნიშნოთ, რომ იმქვეყნად ქრისტიანული აღდგომა სულიერ-ხორცეულია და არა მხოლოდ სულიერი)? საინტერესოა კი სამოთხეში ყოფნა? და თუ საინტერესოა, რა ვუყოთ უსასრულობას? სამოთხეში, ან თუნდაც სხვა, ნებისმიერ ადგილას საუკუნოდ ყოფნა ხომ მოსაბეზრებელია! გაუმართლდა კი იობს მოლოდინი? მიიღო კი მან ის, რასაც იგი ღვთისგან ელოდა, თუ არ ჩავთვლით მის მიერ გაღებულ მსხვერპლის მიწიერ ანაზღაურებას?

[1] сол

[2] სურები 82.13, 85.13, 104.5

[3] ფსალმ. 139.8

[4] 1 კორ. 13.10, იოან. 2.25

[5] ლაბ. 3.16-17

[6] гам 20.3

[7] иоби